1) განხილულია საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის თანამედროვე მდგომარეობა. ნაჩვენებია, რომ მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული მასში არსებული სასარგებლო ელემენტები. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტიდ ავტორების მიერ დამუშავებულია ახალი ტექნოლოგია და მცენარეული ნედლეულის საჭყლებრ-საქუცმაცებელი საფიქსაციო-საშრობი დანადგარი. მოყვანილია გადამუშავების პროცესში მცენარეულ ნედლეულში შემავალი სასარგებლო ნივთიერებების შედგენილობის ცვლილების კვლევის შედეგები. ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით, ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია და დანადგარი უზრუნველყოფს მცენარეული ნედლეულის საწყისი სასარგებლო თვისებებისა და ანტიოქსიდანტური პოტენციალის შენარჩუნებას.					
2) განხილულია შრობის პროცესში პაერის (მუშავების აგენტის) ტენიანობის მომატების (დატენიანების) საკითხი. ნაჩვენებია, რომ მუშავების აგენტის ტენიანობის შემცირებით შესაძლებელია შრობის პროცესის ინტენსიფიკაცია და გამშრალი პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება. წარმოდგენილია ახალი მოწყობილობა, რომელიც მაცივარი					

მანქანის საშუალებით უზრუნველყოფს საშრობ კამერაში მიწოდებამდე მუშა აგენტის ტენიანობის შემცირებას.

- 3) აღწერილია საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ფოთლის საჭყლებ-საჭუცმაცებელ-საგრეხი მანქანის მუშა დანების მიერ მანქანაში აღძრული დატვირთვები. გამოყვანილია ამ დანების მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ძალით აღძრული დერმული დატვირთვის, მღვნავი და მგრეხი მომენტებისა და განივი დატვირთვების საანგარიშო ფორმულები. ყველა ზემოაღნიშნული დატვირთვის გათვალისწინება საჭიროა მცენარეული ნედლეულის ფოთლის საჭყლებ-საჭუცმაცებელ-საგრეხი მანქანის დაპროექტების მეთოდიკის დამუშავებისას.

## II. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ქურნა- ლის/კრებულის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	K.Archvadze T.Megrelidze L.Tabatadze I.Chachava	Polymeric materials and their use in agriculture	Applied Chemistry and Chemical Engineering, Volume 2 Principles, Methodology, and Evaluation Methods	Part I: POLYMER CHEMISTRY AND TECHNOLOGY.	10 გვ.
2	K Archvadze T.Megrelidze L.Tabatadze I.Chachava	Results of testing of helio-drying apparatus with polycarbonate covering	Applied Chemistry and Chemical Engineering, Volume 4 Experimental Techniques and Methodical Developments	PART IV: SPECIAL TOPICS	12 გვ.

- 1) It is planned to conduct researches on improvement of heliotechnological designs with use of the latest technologies - infrared radiators and polycarbonate materials and to improvement of quality of the dried-up production. Offered heliodrying from the device are intended for small-scale country enterprises. Use of heliodrying with allows to begin drying of agricultural

production in any weather conditions, and also, having begun drying, not to interrupt because of adverse conditions.

- 2) For drying of agricultural products there are offered three helio-drying apparatuses – convective, large-scaled and sheet with polycarbonate coverings, developed and probated at Georgian Technical University. These apparatus are used for getting of dried mushrooms and other agricultural products. Driers can be used in private subsidiary and farm economies, agricultural companies. They do not need big capital investments, they are simple in production, keep qualitative characteristics of dried products.

### III.1.სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T.megreliZe z.SublaZe g.gugulaSvili თ.ისაკაძე	გემების სამაცივრო დანადგარების გამოცდა უშუალოდ რეწვის პირობებში	II საერთაშორისო კონფერენცია „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები: საზღვაო ტრანსპორტი, საინჟინრო ტექნოლოგიები, ლოჯისტიკა, ტურიზმი“ შრომათა კრებული. ბათუმი, 2016 წ. გვ. 90-94.
2	T.megreliZe g.pirveli e.sadaRaSvili g.gugulaSvili ვ.ღვაჩლიანი	წვრილი ფრაქციების გამოსავლიანობის გადიდება საკეთებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ შრომათა კრებული. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 295-298
3	T.megreliZe e.sadaRaSvili g.gugulaSvili T.isakaZe g.beruaSvili	სამაცივრო კამერაში სამუშაოდ განკუთვნილი ვენტილატორის ახალი კონსტრუქცია	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ შრომათა კრებული. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 298-300

4	Т.Мегрелидзе А.Гасымова Л.Папава Г.Гугулашвили	Новое устройство для сушки чайного листа с применением инф-ракрасных лучей	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 34-38.
5	T.megreliZe g.goleTiani z.SublaZe g.gugulaSvili g.pirveli	ვიბრომდუდარე ფენაში მცენარეული ნედლეულის საშრობი ახალი მანქანა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 63-67.
6	T.megreliZe g.pirveli g.gugulaSvili v.RvaCiani g.beruaSvili	დამჭულებულ-დამქუცმაცებელი საფიქსაციო მანქანის რეკონსტრუქცია წვრილი ფრაქციების გამოსავლიანობის გადიდების მიზნით	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 85-90.
7	g.goleTiani l.papava g.gugulaSvili g.pirveli g.beruaSvili	საშრობიდან გამომავალი ფხვიერი პროდუქტების გამაცივებელი მოწყობილობა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 99-104.
8	T.megreliZe g.goleTiani g.gugulaSvili i.CaCava	მოლეკულური შრობის ხერხის გამოყენება კვების პროდუქტების კონსერვაციისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 153-157.
9	z.SublaZe g.gugulaSvili g.beruaSvili d.mazaniSvili	კრიოგენული ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები” შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 185-190.
10	К.Арчвадзе	Оценка эффективности ис-	საერთაშორისო სამეცნიერო

		пользования гелиосушильных установок при сушке сельскохозяйственных продуктов	კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 38-41.
11	გ.გოლეთიანი, ვ.ქირია, გ.ველენჯერიძე, ნ. გოგოლაძე.	ნახერხის ბრიკეტების წარმოების ეკონომიკური და პარამეტრული გაანგარიშება	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 82-85.
12	ზ.ჯაფარიძე მ.ხოშტარია	საექსტრაქციო მუხის ნამზადებში სპირტის შეღწევის პროცესის თეორიული პალევა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 77-82.
13	თ.მეგრელიძე გ.გოლეთიანი თ.ისაკაძე	გარსაცმლილებიანი თბომცვლელი აპარატების ეფექტურობის ამაღლების ინოვაციური მეთოდები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 172-176.
14	ვ.შევლიძე ლ.ტაბატაძე ჭ.ბურჯანაძე გ.წიგწივაძე	ოზოგენერატორის გამოყენება რძის მრეწველობაში, წარმოების და შენახვის ტექნოლოგია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 108-111.
15	რ.მელქაძე თ.მეგრელიძე	„მატეს“ ტიპის ჩაის მიღების ტექნოლოგია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „პგების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი, 26.11.2016. გვ. 45-48.

16	K Archvadze  T.Megrelidze  I.Chachava	The use of polycarbonate for drying agricultural products	"Modern researches and Prospects of their Use in Chemistry, Chemical Engineering and Related fields", International Scientific Conference, Semteber 21-23, 2016, Ureki, Georgia, -130 p.
----	---	---	--

### მოხსენებათა ანოტაციები

- 1) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს გემების სამაცივრო დანადგარების გამოცდა უშუალოდ რეწვის პროცესში მათი მუშაობის პირობების გათვალისწინებით. ამისათვის განხილულია გამოცდების აქტიური და პასიური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდები. ნაჩვენებია, რომ სამაცივრო დანადგარების გამოცდის ყველაზე ზუსტი შედეგები მიიღება კვაზისტაციონარული მოდელის საფუძველზე, რომლის შესაბამისად იყენებენ სტაციონარული რეჟიმის განტოლებებს. მოყვანილია ის ძირითადი მონაცემები, რომელთა განსაზღვრა საჭიროა გემის სამაცივრო აგრეგატის გამოცდისას. ნაჩვენებია ასევე, რომ საიმედო მონაცემების მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანია ჩატარებული გაზომვების სიზუსტე.
- 2) განხილულია საკებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების საკითხი. ნედლეულის სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნებისათვის შემოთავაზებულია ისეთი ტექნოლოგიით და მოწყობილობით გადამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს მასში არსებული სასარგებლო ელემენტების მაქსიმალურ შენარჩუნებას. წარმოდგენილია აღნიშნული ახალი ტექნოლოგიით გადამუშავების პროცესში მცენარეულ ნედლეულში შემავალი სასარგებლო ნივთიერებების შემადგენლობის ცვლილების შესწავლის შედეგები. ნაჩვენებია, რომ წარმოდგენილი ტექნოლოგიით მიღებულ პროდუქციას ახასიათებს გამომუშავებული წვრილი ფრაქციების მცირე გამოსავლიანობა, რომლის გამოსწორების მიზნით ავტორთა მიერ დამუშავებულ ტექნოლოგიაში შეტანილია სიახლე, რომელიც გულისხმობს ფოთლის ჭყლეტა-დაქუცმაცება-გრეხის შემდეგ ნედლეულის დეზინტეგრაციას ნაწილაკების ზომების არა უმეტეს 1-2 მმ-დე დაყვანით.
- 3) განხილულია სამაცივრო კამერის მუშაობის ეფექტურობის საკითხი. ნაჩვენებია, რომ სამაცივრო კამერაში მომუშავე ვენტილატორი უზრუნველყოფს ჰაერის მოძრაობას მაცივარი მანქანის საორთქლებლის მიმართ და ამით აუმჯობესებს მის მუშაობას. მაგრამ ვენტილატორის ელექტროძრავას მიერ გამოყოფილი სითბო მთლიანად გადაეცემა კამერას და მოითხოვს დამატებით ენერგიას ამ სითბოს მოსაშორებლად. წარმოდგენილია ვენტილატორის ახალი კონსტრუქცია, რომელიც ჰაერის მოძრაობაში მოყვანასთან ერთად ახორციელებს ამ ჰაერის გაცივებას საორთქლებლიდან მიღებული სიცივის გამოყენებით.
- 4) Рассмотрен вопрос сушки пищевых продуктов и, в частности, ферментированного чайного листа. Показано, что наиболее приемлемым для сушки чайного листа является

комбинированный метод, который включает сушку в вибропарнике слое горячим воздухом и одновременное воздействие на обрабатываемое сырье инфракрасными лучами. Данный способ интенсифицирует процесс сушки и резко уменьшает его продолжительность, улучшается возможность сохранения качества продукта. Кроме того, предложенная новая конструкция для сушки дает возможность уменьшения энергозатрат на сушку продукта по сравнению с существующими известными устройствами.

- 5) განხილულია ფხვიერი მასალების შრობის პროცესის მიმდინარეობა და ნაჩვენებია, რომ გასაშრობი პროდუქტის ნაწილაკების შიგა ფენების გახურებამდე გარე ფენების ზედმეტად გახურების და დაწვის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება შრობის პროცესის ჩატარება შედარებით დაბალი ტემპერატურის მქონე მუშა აგენტით. ეს კი ამცირებს შრობის ეფექტურობას და საშრობი მანქანის მწარმოებლობას. შრობის პროცესის წყვეტილი რეჟიმის პირობებში ჩატარება ადვილია ინფრაწითელი სხივებით შრობის შემთხვევაში, მაგრამ კონვექციური შრობის პროცესში ასეთი რეჟიმის გამოყენება შეუძლებელია. შემოთავაზებულია ვიბრომდუდერები ფენის პირობებში მცნარეული ნედლეულის ფოთლის საშრობი ახალი მანქანა, რომელშიც განხორციელებულია გასაშრობი მასის უწყვეტი მოძრაობა ერთმანეთისაგან ტიხარით გამოყოფილ და სხვადასხვა ტემპერატურის მქონე მუშა აგენტით მომუშავე კამერებს შორის.
- 6) განხილულია საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების საკითხი. ნაჩვენებია, რომ არსებული ტექნოლოგია და შესაბამისი მოწყობილობა უზრუნველყოფს წვრილი ფრაქციების მცირე გამოსავლიანობას. მცენარეული ნედლეულის წვრილი ფრაქციების გამოსავლიანობის გადიდების მიზნით შემოთავაზებულია დამჭულებულ-დამქუცმაცებელი საფიქსაციო მანქანის რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს დაჭყლებული და მოგრეხილი ფოთლის დაჭრას 1–2 მმ ზომის ნაწილაკებად მასის პაერის ჟანგბადთან კონტაქტისაგან იზოლირებულ პირობებში.
- 7) განხილულია შრობის შემდეგ ცხელი პროდუქტების გაცივების საკითხი. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის გამოყენებული გაცივების მეთოდები ითვალისწინებს გამშრალი ცხელი პროდუქტის გაცივებას ჰაერზე ბუნებრივ პირობებში. გაცივების ასეთი მეთოდების გამოყენება არახელსაყრელია, რადგან გაცივებისას ხდება პროდუქტის ხელახალი დატენიანება გარემონტველი ჰაერიდან. წარმოდგენილია ახალი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს საშრობიდან გამომავალი ფხვიერი პროდუქტის სწრაფ გაცივებას სპეციალურად ამ მიზნით გამშრალი და ოპტიმალურ ტემპერატურამდე მიყვანილი ჰაერით.
- 8) განხილულია კვების პროდუქტების წარმოებაში მოლეკულური შრობის გამოყენების შესაძლებლობა. მოლეკულური შრობის შედეგი შედარებულია კვების პროდუქტების თბური პროცესების გამოყენებით შრობის შედეგებთან. სხვადასხვა სახის კვების პროდუქტებისათვის დადგენილია მოლეკულური შრობის შედეგად მიღებული პროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების დამოკიდებულება შრობის ძირითადი პარამეტრებისაგან.
- 9) წარმოდგენილია კრიოგენული ტექნიკის განვითარების მიმართულებები. მოყვანილია

ის ძირითადი პირობები, რამაც განაპირობა კრიოგენული ტექნიკის წარმოქმნა და ფართო გამოყენება მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ნაჩვენებია კრიოგენულ ტექნიკაში არსებული პრობლემები და სხვადასხვა ქვეყანაში მათი გადაჭრისათვის გამოყენებული საშუალებები. აღწერილია ის სფეროები, სადაც კრიოგენული ტექნიკის გამოყენება განაპირობებს მწარმოებლობის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

- 10) Предлагаются три гелиосушильные установки, сконструированные и разработанные в Грузинском техническом университете – конвективная, крупногабаритная и листовая гелиосушильные установки, а также 11 вариантов указанных конструкций. Показаны преимущества использования гелиоаппаратов при сушке с/х продуктов по сравнению с естественной сушкой на открытом воздухе. Продукты, высушенные в г/с аппарате обладают высокими потребительскими свойствами, максимально сохраняется витаминный состав, происходит инактивация ферментов и микроорганизмов в высушиваемых продуктах.
- 11) ამოწურვადი ენერგომატარებლების ჭარბმა გამოყენებამ, რამაც გამოიწვია გლობალური დათბობის პრობლემა და ასევე სათბობ-ენერგეტიკულმა კრიზისმა აიძულა მეცნიერები შეემუშავებინათ ენერგიის წყაროების წარმოქმნის ახალი ტექნოლოგიები. ერთერთ ასეთ პროდუქტს წარმოადგენს დაპრესილი ნახერხი. შვედეთის ბიოსაწვავის მწარმოებელთა ასოციაციის მონაცემებით ევროკავშირის მოთხოვნილება ბიობრივეტზე 2020 წლისათვის 120 მლნ ტონას მიაღწევს.
- 12) განხილულია გამოფიტული მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის მიზნით მუხის მერქნის ნამზადების გეომეტრიული პარამეტრების თეორიული დასაბუთება საკონიაკე სპირტის დაძველების პროცესში. კერძოდ, დადგენილია მუხის მერქანტში სპირტის შეღწევის კანონზომიერებანი მოქმედ ფაქტორებთან კავშირში
- 13) სტატია ეძღვნება აქტუალურ პრობლემას მაცივარი მანქანების ეფექტურობის ამაღლებას ტრადიციული ტიპის თბომცვლელი აპარატების, პერძოდ გარსაცმმილებიანი კონდენსატორების და საორთქლებლების კონსტრუქციების დახვეწის გზით. თბო და მასათაცვლის ინტენსივიკაციის არსებული მეთოდებისაგან განხევავებით სტატიაში წარმოდგენილია სამაცივრო აგრეგატში მოძრავი მუშა სხეულისნაკადების რაციონალური ორგანიზაცია და განაწილება თბომცვლელი აპარატების ყველა არხებში. მუშა სხეულის სწორ ორგანიზაციას კი მიგადართ თბოცვლის გაძლიერებისაკენ, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს თბომცვლელი აპარატების ენერგეტიკულ და მასოგაბარიტულ მაჩვენებლებს.
- 14) ოზონი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და მედიცინაში როგორც მშრალი ასევე სველი, დაბალ ტემპერატურული დეზინფექციის და სტერილური სისუფთავე და ეკონომიკურობა საიმედოდ უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური რძის საწარმოების დაცვას ბაქტერიებისგან, ვირუსებისგან და სხვა მავნე წარმონაქმნისგან.
- 15) სტატიაში განხილულია „მატებ“ ტიპის ჩაის მიღების ალტერნატიული ნედლეული – კავკასიური დეკას ფოთოლი და გადამუშავების პრინციპული სქემა. მოყვანილია

მიღებული მზა პროდუქტისა და კლასიკური „მატება“ შედარებითი ხარისხობრივი მახასიათებლები. ნაჩვენებია დეკას ჩაის რიგი უპირატესობები.

- 16) For the efficiency of the drying process of agricultural products is recommended to dry products in solar dryer with a polycarbonate coating. Studies have shown that the use of these systems are reducing the drying time, improves the preservation of flavor, nutrients and palatability, ensures the sterility of the product and facilitates storage of the dried product (it does not spoils and lasts longer than usual). Note that during storage the products that have been dried in solar dryer are more resistant to the mold and lasts longer than products that are dried naturally in the open air.

## სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტი №506

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი ზ. ჩიტიძე

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორები: ზ. ჩიტიძე, ზ. ბალამწარაშვილი, ვ. აბაიშვილი

ასოცირებული პროფესორები: ი. გელაშვილი, რ. ტყემალაძე, დ. მოსულიშვილი

### II. 1. პუბლიკაციები:

#### ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია გოგოტიშვილი, ჯუმბერ ლომიძე	საქართველოს ძელქვნარები და მათი გავრცელება- გამოყენების პერსპექტივები	თბილისი; გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“	127გვ.

## ანოტაცია

1. ამიერკავკასიაში ძელქვის ბუნებრივი გავრცელების რაიონში, ძელქვის ერთი სახეობა *Zelkova carpinifolia* (Pall.)j.koch. იზრდება. მესამეულ პერიოდში კავკასიური ძელქვა, ძელქვის სხვა სახეობებთან ერთად, ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ამიერკავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ შემდეგში მომხდარი ბუნებრივი ცვლილებების შედეგად, რცხილაფოთოლა ძელქვის გავრცელების არეალი ძალზე შემცირდა. თანამედროვე პერიოდში ძელქვის არეალის შემცირებას, გარდა ბუნებრივი პირობების შეცვლისა, ხელი ანთროპოგენულმა ფაქტორმაც შეუწყო. ადამიანი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჭრიდა და ანადგურებდა ამ ძვირფას მერქნიან სახეობას.

ძელქვნარების ეკოლოგიური პირობების შესწავლის შედეგად, დადგენილი იქნა, რომ ძელქვნარების ქვეშ გავრცელებულია სხვადასხვა სიღრმის ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლიოსისებრ თიხნარებზე, დელუვიურ დანალექ და ამონალვარ ქანებზე. დადგენილია ამ ნიადაგების ძირითადი მორფოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მაჩვენებლები.

ამიერკავკასიაში ძელქვის გამრავლება, უმთავრესად ფესვის ნაბარტყით ხდება. მას დიდი რაოდენობით იძლევა ნიადაგის ზედა ფენებში, 15 სმ სიღრმეზე განლაგებული წვრილი 0,5-1,5 სმ დიამეტრის ფესვები. ნაბარტყი პირველივე წლებში ივითარებს საკუთარ ფესვებს, რომლებიც სწრაფად იზრდებიან სიგრძეში და დიამეტრში. კავკასიური ძელქვა ფესვის ნაბარტყის მოცემის უნარს ინარჩუნებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით იძლევა შუახნოვანებაში.

დადგენილია, სინათლის დამოკიდებულება ფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე. მასზე უარყოფით გავლენას ახდენს საბურველის მაღალი შეკრულობა. ეს უარყოფითი გავლენა აღინიშნება, როგორც 1-2 წლიან, ისე 11 წელზე მეტი ხნოვანების ნაბარტყი. აღნიშნულ საკვლევ ობიექტზე აშკარად აღინიშნება სინათლის ფაქტორის გავლენა ცუდად განვითარებულ ნაბარტყი და ეს უარყოფითი გავლენა უფრო აშკარაა მაღალი (0,8) სიხშირის კორომის ქვეშ ჩამოყალიბებულ თხელ ნიადაგებზე არსებულ ფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე. მაღალი სიხშირის კორომის ქვეშ არსებულ თხელ ნიადაგებზე, ყველა ხნოვანების ფესვის ნაბარტყის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზემოთხსენებულ ობიექტზე არსებულ ფესვის ნაბარტყის რაოდენობას. ცუდი განახლება, მაღალი სიხშირის კორომის თხელ ნიადაგებზე, აშკარად აღინიშნება 11 წელზე მეტი ხნოვანების ნაბარტყი, სადაც მისი რაოდენობა 250 ძირს ჰა-ზე არ აღემატება.

ძელქვის საუკეთესო ზრდა-განვითარება დაფიქსირებულია ბოტანიკური ბალის ღრმა და ტენიან ნიადაგზე, სადაც 35 წლის ხნოვანებაში მისი სიმაღლე 15,5 მ ხოლო დიამეტრი 18 სმ იყო. ამავე ხნოვანებაში, ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე, ძელქვის სიმაღლე 8,5 მ, ხოლო დიამეტრი 21,3 სმ იყო, მაშინ როცა თბილისის ზღვის თხელ და ქვა-ღორღიან ნიადაგზე მისი სიმაღლე 7,0 მ, ხოლო დიამეტრი 7,0 სმ-ს აღწევდა. აქედან გამომდინარე ძელქვის

ზრდა-განვითარებისთვის, ნიადაგის სიღრმესა და ტენიანობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ძელქვის ფესვთა სისტემის 30% განლაგებულია ნიადაგის 0,40 სმ ფენაში, ხოლო ნიადაგის 40-80 სმ ფენაში -- ფესვების მხოლოდ 19 %. ფესვების 51% განლაგებულია ნიადაგის 0-20 სმ ფენაში. ფესვების განლაგების მაღალი პროცენტი ნიადაგის 0,20სმ ფენაში, გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების უკეთ გამოყენებით და ნიადაგის შუა ფენების დაბალი ტენიანობით.

ძელქვის ფესვთა სისტემაში ძირითადი ადგილი, 2,0 სმ-ზე მეტი დიამეტრის ფესვებს უჭირავთ. ამასთან, მათი რაოდენობა სიღრმესთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება და ნიადაგის 60-80 სმ ფენაში 1 %-ს არ აღემატება, მაშინ როცა ნიადაგის 0,20 სმ ფენებში მათი რაოდენობა 18 %-ს შეადგენს. რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილი 0,5 სმ-ზე ნაკლებ ფესვებს უჭირავს და მათი რაოდენობა 25 %-ს შეადგენს. მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობა უკავია 0,5-1,0 სმ დიამეტრის ფესვებს და მათი რაოდენობა ნიადაგის მთელ სიღრმეზე 18 %-ს არ აღემატება. მათი განლაგების დაბალი რაოდენობა შეიმჩნევა ნიადაგის ყველა ფენაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძელქვა ივითარებს ღრმა და ძლიერ ფესვთა სისტემას.

ძელქვის მთლიანი ბიოლოგიური მასის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 26 წლიანი ძელქვის ხის ღეროს წონა შეადგენს 52%-ს, ტოტების წონა -- 1,6 %-ს, ფოთლების წონა -- 6,0 %-ს, ხოლო ფესვების წონა -- 26%-ს.

ჩამონაცვენის დინამიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მისი დაგროვება იწყება სექტემბრიდან და გრძელდება ნოემბრის ჩათვლით. ჩამონაცვენის მაქსიმუმი აღინიშნა ოქტომბრის თვეში, მინიმუმი კი -- ნოემბერში. ჩამონაცვენის საშუალო რაოდენობამ 2013 წელს შეადგინა 3195 კგ, ხოლო 2014 წელს -- 3050 კგ, რაც მოსული ნალექების სხვაობითაა განპირობებული.

დამუშავებულია ძელქვის მოსალოდნელი ტყეეკაფებიდან მორების გამოთრევის ტექნოლოგიური სქემები, რაც პერსპექტივაში ძელქვის საწარმოო კორომების გამოყენების შესაძლებლობებს განაპირობებს.

## სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. ჩიტიძე,	მერქნისა და	თბილისი	250

ზ. ბალამწარაშვილი, ვ. აბაიშვილი. ი. გელაშვილი	მერქნული მასალების დამმუშავებელი ჩარხოლები, საჩარხო სისტემები და მჭრელი ინსტრუმენტები	„ტექნიკური უნივერსიტეტი“	
---	---	-----------------------------	--

### ანოტაცია

1. წარმოდგენილია მერქნის და მერქნული მასალების დამმუშავებელი ჩარხების, საჩარხო სისტემების და ინსტრუმენტების საერთო ტექნიკური ცნობები, ჩარხების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ტექნოლოგიური და კონსტრუქციული სქემები, მოწყობილობები. მოყვანილია კონსტრუქციების გარიანტები, ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრები. აღწერილია ჩარხების მუშაობისათვის აუცილებელი ძირითადი და დამშვარე მექანიზმები და მოწყობილობები. მოცემულია ტექნოლოგიური გაანგარიშებები ექსპლუატაციის პირობებთან დაკავშირებით, აგრეთვე ტექნოლოგიისა და მოწყობილობების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომში განხილულია მერქნული მასალების ჭრით დამუშავების საკითხები, კერძოდ მოცემულია კინემატიკური და დინამიკური თანაფარდობანი ჭრისას, ჭრის პროცესის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა, დამუშავების ხარისხი, დამუშავების სიზუსტე და სისუფთავე.

განხილულია მერქნული მასალების ჭრით დამუშავების ძირითადი სახეები: მრგვალი ხერხებით, ლენტური ხერხებით, ჩარჩოხერხით ხერხვა, რანდვა, ფრეზვა, ახდა, ბურღვა, ხარატება და ხეხვა. მოცემულია აგრეთვე მერქნული მასალების ჭრა ზესალი იარაღებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მერქნული მასალების დამუშავების სპეციალობის მიმართულების ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის, ასევე დახმარებას გაუწევს მერქნისა და მერქნული მასალების დამმუშავებელ საწარმოებში მომუშავე ინჟინერებსა და კონსტრუქტორებს პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. ცხრილები 53, ილუსტრაციები 78, ლიტერატურა 20

### სტატიები

Nº	სტატიის სათაური, ეურნალის/კრებულის დასახელება	ეურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა	
1	ზ.ჩიტიძე, ი. გელაშვილი, მ.გოგოტიშვილი,	მერქანტურბუშელოვანი ფილების ლენტური ხერხვის დინამიკის	N3 (27)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“	6

	მ. ქლენტი	კვლევა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“			
2	ზ.ჩიტიძე, ი. გელაშვილი, ვ. აბაიშვილი, მ. ქლენტი	მერქანბურბუშელოვანი ფილების ლენტური ხერხვით დინამიკის კვლევის შედეგები.	N3 (27)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“	6
3	ვ.აბაიშვილი	ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის ინერციული ძალების გაწონასწორება პნევმატური ამორტიზატორის საშუალებით.	N2(16)	რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“	6
4	ვ.აბაიშვილი	ვერტიკალური ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური კვლევა პნევმოამორტიზატორის გათვალისწინებით	N2(16)	რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“	6
5	ვ.აბაიშვილი	პნევმატური ამორტიზატორით აღჭურვილი ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალის განსაზღვრა	N2(16)	რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“	6
6	ნ. ჭელიძე ზ. ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	დაუტვირთავი მორსათრევი აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევა ვაკეზე მრუდწირული მოძრაობის დროს „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“	№ 1 (35)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“	8
7	ნ. ჭელიძე ზ. ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	დაუტვირთავი მორსათრევი აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევა ფერდობზე მრუდწირული მოძრაობის დროს	№ 1 (35)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“	6

		„ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”			
8	6. ჭელიძე ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	დატვირთული მორსათრევი თვითმმართვი აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევა ვაკეზე მრუდწირული მოძრაობის დროს „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	№ 2 (36)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	9
9	6. ჭელიძე ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	დატვირთული მორსა- თრევი აგრეგატის მო- ძრაობის განივი მდგრა- დობის კვლევა ფერდობ- ზე მრუდწირული მოძრაობის დროს „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	№ 2 (36)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	8
10	6. ჭელიძე ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	ფერდობის დახრის ზღვრული კუთხის გან- საზღვრა დაუტვირთავი მორსათრევი თვით- მტვირთავი აგრეგატის მრუდწირული მოძრაობის დროს „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	№ 3 (37)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	7
11	6. ჭელიძე ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი გ. დარახველიძე	ფერდობის დახრის ზღვრული კუთხის განსაზღვრა დატვირთუ- ლი მორსათრევი თვით- მტვირთავი აგრეგატის მრუდწირული მოძრაობის დროს „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	№ 3 (37)	თბილისი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	8
12	გ. დარახველიძე ლ. მეზერიშვილი ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე	განივ გადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარის მზიდი ბაგირის პარამეტრების	№ 11	თბილისი	4

	დ. მოსულიშვილი ნ. ჭელიძე- ტყეშელაშვილი	განსაზღვრის ექსპერი- მენტული და პარაბოლის მეთოდების ანალიზი „სატყეო მოამბე”			
13	გ. დარახველიძე ლ. მეზვრიშვილი ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი ნ. ჭელიძე- ტყეშელაშვილი	განივგადასატანი საბა-- გირო მორსათრევი და- ნადგარის მზიდი ბაგი- რის პარამეტრების გან- საზღვრის ექსპერიმენ- ტული და პარაბოლის მეთოდების ანალი- ზი „სატყეო მოამბე”	№ 11	თბილისი	4
14	გ. დარახველიძე ლ. მეზვრიშვილი ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი ნ. ჭელიძე- ტყეშელაშვილი	განივგადასატანი სა- ბაგირო მორსათრევი დანადგარის ჩაკეტილ- კონტურიანი მოძრავი მზიდი ბაგირის ჩაკი- დულობის ისრის გან- საზღვრა ექსპერიმენტით და პარაბოლის მეთოდით „სატყეო მოამბე”	№ 11	თბილისი	5
15	გ. დარახველიძე ლ. მეზვრიშვილი ზ.ბალამწარაშვილი რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი ნ. ჭელიძე- ტყეშელაშვილი	განიგ-გადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარის ჩაკეტილ კონტურიანი მზიდი ბაგირის გაანგარიშების მეთოდიკის დამუშავება ექსპერიმენტული კვლე- ვის შედეგების მონაცე- მების გათვალისწინებით „სატყეო მოამბე”			
16	ლ. მეზვრიშვილი თ. გოგიშვილი გ. დარახველიძე რ. ტყემალაძე დ. მოსულიშვილი ზ.ბალამწარაშვილი	ტყესაკაფი სამუშაო პრო- ცესის № 11 ტექნოლოგი- ური სქემის დამუშავება განივგადასატანი ორმხ- რივი საბაგირო მორსათ- რევი დანადგარისათვის	№ 11	თბილისი	6

		„სატყეო მოამბე”			
17	ი. ჩუთლაშვილი ა. ინასარიძე	მერქნის ოპტიმალურად გამოყენების მეთოდები „სატყეო მოამბე”	№ 11	თბილისი	6
18	გ.დანელია, ო.ფალავანდიშვილი, მ.გოგოტიშვილი, ზ. ჩანქსელიანი	ბაბანეურის ნაკრძალის ძელქვის კორომის ქმეშ გაადგილებული ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების დადგენა, მისი ნაყოფიერების თვალსაზრისით; „მოამბე”	№1 (135)	თბილისი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;	3

#### ანოტაცია

1. გამოვლენილია ლენტური ხერხვის უპირატესობა დისკურ და ჩარჩო ხერხვის პროცესთან  
შედარებით. მოყვანილია პროცესის ნაკლოვანებები, კერძოდ შესწავლილია ლენტური  
რტყელას რხევების პროცესის დამოკიდებულება ჭრის სიჩქარის და განახერხის სიმაღლეზე.  
ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გამოავლინა ფაქტორთა ჯგუფი, რომლის ცვლილება  
უშუალოდ ახდენს გავლენას დამუშავებული ზედაპირის სიზუსტეზე და სისუფთავეზე.

2. მათემატიკური პლანირების გამოყენებით ჩატარდა ექსპერიმენტები და მიღებულია რეგრესიის განტოლება ორი ცვლადი პარამეტრით, რის საფუძველზე აიგო გრაფიკული დამოკიდებულებები ჭრის სიჩქარისა, განახერხის სიმაღლის, ლენტური ხერხის რტყელას რხევებზე დამოკიდებულებით. ნაჩვენებია, რომ მერქანბურბუშელოვანი ფილტების ხერხისას დამუშავებული ზედაპირის ხარისხის მისაღწევად ლენტური ზერხი უნდა ვამუშაოთ მაღალ სიჩქარეებზე და გაზრდილ ჭრის სიმაღლეებზე.
3. შექმნილია მოდერნიზებული მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი (მთა) ძარა-ისრის ახალი სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმით; განსაზღვრულია დაუტვირთავი მთა-ის ინერციის მომენტები  $I_{4x_0x_0}$  და  $I_{4x_4x_4}$ . მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის პარამეტრების დასადგენად დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე შედგენილია აგრეგატზე მოქმედი ყველა ძალების მომენტების ბალანსის განტოლება, რაც ვაკეზე მრუდწირული მოძრაობის დროს გადაყირავების დაწყების მომენტიდან, წარმოადგენს აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის დიფერენციალურ განტოლებას. დაუტვირთავი მთა-ის ვაკეზე მრუდწირული მოძრაობის დროს განივი მდგრადობის პირობიდან გამომდინარე განსაზღვრულია ცენტრიდანული აჩქარება  $a_1$  და მოძრაობის კრიტიკული სიჩქარე  $V_{\text{d}}$ . ნაპოვნია  $t_1$  დროის სიდიდე აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გადაბრუნების გარდაუგალ მდგომარეობამდე. მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ ვაკეზე მთა-ის მინიმალური რადიუსით მობრუნების დროს მოძრაობის განივი მდგრადობა არ დაირღვევა, რადგანაც აგრეგატის მაქსიმალური სიჩქარე ნაკლებია კვლევით მიღებულ კრიტიკულ სიჩქარეზე.
4. მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის მთა) ფერდობზე მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევისათვის, დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე, შედგენილია აგრეგატზე მოქმედი ყველა ძალების მომენტების დიფერენციალური განტოლება, ტრაქტორის მუხლება ჯაჭვის საყრდენი ზედაპირის წიბოზე გამავალი  $x_0x_0$  დერძის მიმართ. ფერდობზე მთა-ის მრუდწირული მოძრაობის განივი მდგრადობის პირობიდან, განსაზღვრულია აგრეგატის ცენტრიდანული აჩქარება  $a_2$  და მოძრაობის კრიტიკული სიჩქარე  $V_{\text{d}2}$ , როცა აგრეგატი იწყებს გადაბრუნებას. ა კუთხით დახრილ ფერდობზე, მთა-ის სტატიკური წონასწორობის ტრანსცენდენტული განტოლებიდან გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია აგრეგატის  $x_0x_0$  დერძის გარშემო ბრუნვის კუთხის  $\Delta\varphi_2$ -ის მაქსიმალური და  $t_2$  დროის მნიშვნელობები, აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გარდაუგალ მდგომარეობამდე. დადგენილია, რომ კრიტიკული სიჩქარე  $V_{\text{d}2}$  ნაკლებია. ტრაქტორის მოძრაობის მაქსიმალურ სიჩქარეზე. ამ შემთხვევაში აგრეგატი არამდგრადია და დროის სიმცირის გამო ფერდობის დახრის მხარეს იწყებს გადაბრუნებას.
5. დამუშავებულია მოდერნიზებული მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის (მთა) მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევის მეთოდები და მეთოდიკები. განსაზღვრულია დატვირთული მთა-ის ინერციის მომენტები:  $I_{4x_0x_0}$ ,  $I_{4x_4x_4}$  და  $I_{3x_3x_3}$ , შესაბამისად  $x_0x_0$ ,

$x_4x_4$  და  $x_3x_3$  დერძების მიმართ. დატვირთული მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის პარამეტრების დასადგენად დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე, შედგენილია აგრეგატზე მოქმედი ყველა ძალების მომენტების ბალანსის დიფერენციალური განტოლება ტრაქტორის მუხლუხა ჯაჭვის საყრდენი ზედაპირის წიბოზე გამავალი  $x_0x_0$  დერძის მიმართ. დატვირთული მთა-ის ვაკეზე მრუდწირული მოძრაობის დროს განივი მდგრადობის პირობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ცენტრიდანული აჩქარების  $a_3$  და კრიტიკული სიჩქარის  $V_{\beta}$  მნიშვნელობები. ნაპოვნია  $t_4$  დრო, აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გადაბრუნების გარდაუვალ მდგომარეობამდე. სტატიკური წონასწორობის პირობიდან ტრანსცენდენტული განტოლების გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია  $\Delta\varphi_4$  კუთხის მაქსიმალური მნიშვნელობა  $\Delta\varphi_{4\max}$ .

6. დამუშავებულია დატვირთული მორსათრევი თვითმტკირთავი აგრეგატის (მთა) ფერდობზე მოძრაობის განივი მდგრადობის კვლევის მეთოდები და მეთოდიკები, რის საფუძველზეც შედგენილია მთა-ზე მოქმედი ყველა ძალების მომენტების დიფერენციალური განტოლება. აგრეგატის მრუდწირული მოძრაობის განივი მდგრადობის პირობიდან, განსაზღვრულია აგრეგატის ცენტრიდანული  $a_4$  და მოძრაობის კრიტიკული სიჩქარე  $V_{\beta 4}$ . მთა-ის სტატიკური წონასწორობის ტრანსცენდენტული განტოლებიდან გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია აგრეგატის  $x_0x_0$  დერძის გარშემო ბრუნვის  $\Delta\varphi_5$  კუთხის მაქსიმალური მნიშვნელობა და  $t_5$  დრო, აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გადაბრუნების გარდაუვალ მდგომარეობამდე. განსაზღვრულია, რომ ფერდობზე მინიმალური რადიუსით აღმართის მხარეს მობრუნების დროს, დატვირთული მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის კრიტიკული სიჩქარე ნაკლებია აგრეგატის მაქსიმალურ სიჩქარეზე. ამ შემთხვევაში აგრეგატი ვერ ინარჩუნებს მდგრადობას და იწყებს გადაბრუნებას.
7. ფერდობის დახრის ზღვრული კუთხის განსაზღვრის მიზნით მთა-ის მაქსიმალური სიჩქარით აღმართის მხარეს მინიმალური რადიუსით მობრუნების დროს შედგენილია აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის დიფერენციალური განტოლება. დაუტვირთავი მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის პირობიდან მიღებული ტრანსცენდენტული განტოლების გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია ფერდობის დახრის ზღვრული კუთხე  $\Delta\alpha_{\text{u1}} = 12^{\circ}39'$ . მთა-ის სტატიკური წონასწორობის პირობიდან, ტრანსცენდენტული განტოლების გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია აგრეგატის  $x_0x_0$  დერძის გარშემო ბრუნვის  $\Delta\varphi_3$  კუთხის მაქსიმალური სიდიდე –  $\Delta\varphi_{3\max}$ . მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის დიფერენციალური განტოლებიდან, განსაზღვრულია დრო  $t_3$ , აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გადაბრუნების გარდაუვალ მდგომარეობამდე.
8. ფერდობის დახრის ზღვრული კუთხის განსაზღვრის მიზნით მთა-ის მაქსიმალური სიჩქარით აღმართის მხარეს მინიმალური რადიუსით მობრუნების დროს შედგენილია

	<p>აგრეგატის მოძრაობის განივი მდგრადობის დიფერენციალური განტოლება. დაუტვირთავი მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის პირობიდან მიღებული ტრანსცენდენტული განტოლების გაწრფივებულ მოდელში გადაყვანის შემდეგ, განსაზღვრულია აგრეგატის <math>x_0 x_0</math> დერძის გარშემო ბრუნვის <math>\Delta\varphi_3</math> კუთხის მაქსიმალური სიდიდე – <math>\Delta\varphi_{3\max}</math>. მთა-ის მოძრაობის განივი მდგრადობის დიფერენციალური განტოლებიდან, განსაზღვრულია დრო <math>t_3</math>, აგრეგატის გადაბრუნების დაწყებიდან გადაბრუნების გარდაუვალ მდგომარეობამდე.</p>
9.	<p>თეორიული და ექსპერიმენტული კვლევებიდან დადგენილია, რომ ცდომილება მზიდი ბაგირის გაანგარიშების დროს ჯაჭვური ხაზის და პარაბოლის მეთოდებით იცვლება 1,75%-დან 5%-მდე. ამასთან, დადგენილია, რომ აღნიშნული კვლევების დროს გამოყენებული ემპირიული ფორმულები იძლევიან მზიდი ბაგირის დიამეტრის გაზრდილ სიდიდეებს. გარდა აღნიშნულისა ემპირიული ფორმულებით ვერ დადგინდება საბაგირო დანადგარის ისეთი პარამეტრების მნიშვნელობები, როგორებიცაა სამონტაჟო დაჭიმულობა და ჩაკიდულობის ისარი.</p>
10.	<p>შექმნილია მოდერნიზებული განივგადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარი ჩაკეტილკონტრიანი მოძრავი მზიდი ბაგირით; დამუშავებული კვლევის მეთოდიკის საფუძველზე ჩატარებულია ექსპერიმენტული გამოკვლევები მზიდი ბაგირის ჩაკიდულობის ისრის მნიშვნელობების დასადგენად, მზიდი ბაგირის მალის სიგრძის, ჩაწერტებული ტვირთის და მზიდი ბაგირის დაჭიმულობის სხვადასხვა მნიშვნელობების დროს.</p>
11.	<p>ექსპერიმენტული და პარაბოლის მეთოდით კვლევების შედეგების მონაცემების მიხედვით ნაშრომში დამუშავებულია, განივგადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარის ჩაკეტილკონტრიანი მოძრავი მზიდი ბაგირის პარამეტრების განსაზღვრის მეთოდიკა, სადაც აგრეთვე გამოყენებულია ზოგადად ცნობილი საბაგირო მორსათრევი დანადგარების მზიდი ბაგირების მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების შედეგები; დადგენილია, რომ ჩაკეტილკონტრიანი მზიდი ბაგირის ჩაკიდულობის ისრის სიდიდეების მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს მალის ლ სიგრძის 0,02-0,03-ს; ვიცით რა ჩაკიდულობის ისრის დასაშვები სიდიდის მნიშვნელობა, ვანგარიშობთ ჩაკეტილკონტრიანი მზიდი ბაგირის დაჭიმულობის თმ მაქსიმალურ მნიშვნელობას და კუბური განტოლების გამოყენებით ვსაზღვრავთ სამონტაჟო დაჭიმულობას თ0-ს.</p>
12.	<p>ნაშრომში დასმულია საქართველოს მთაგორიანი ტყესაკაფების ათვისების სირთულეებთან დაკავშირებული საკითხები, რაც განპირობებულია რთული რელიეფური პირობებით. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების და ტექნიკის დანერგვას. ტექნოლოგიური სქემა № 11 დამუშავებულია მესამე ჯგუფის ტყესაკაფებისათვის, რომლებზედაც ფერდობის დახრილობა <math>25^{\circ}</math>-ზე მეტია და აღწევს <math>40^{\circ}</math>-მდე. ასეთი რთული ტყესაკაფების ასათვისებლად დამუშავებულია ორმხრივი ორ საწევბაგირიანი განივგადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარი. ტექნოლოგიური სქემა № 11 და მის განსახორციელებლად დამუშავებული ორმხრივი</p>

	<p>განივგადასატანი მორსათრევი დანადგარი ტექსაკაფზე ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციების თანმიმდევრობის ოპტიმალურად დაგეგმის შემთხვევაში, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ საბაგირო დანადგარის ძირითადი ტრასის ორივე მხრიდან მორთრეული ხეტყის ჩამოშვება ზედა საწყობზე ვაწარმოოთ განივი მიმართულების საწევი ბაგირებით</p>
13.	<p>სტატიაში განხილულია მერქნის დაჭრისათვის შავი ნამზადის მიღების წესები და მეთოდები, შემდეგ, კი ფიცრებისაგან შავი ნამზადების გამოჭრის ოპტიმალური სქემები. განხილულია აგრეთვე მასიური მერქნის ხარჯვის ნორმის განსაზღვრა ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშებისათვის.</p>
18.	<p>ბაბანეურის სატყეო ნაკრძალის ძელქვის კორომის ქვეშ გაადგილებული ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების დადგენის შედეგად მივიღეთ, რომ ქიმიური ანალიზის საფუძველზე, ზღვრულად დასაშვები დიაპაზონის მიხედვით ა) ჰუმუსის (ორგანიკა) საშუალოზე მაღალია, ბ) საერთო აზოტით (N) უზრუნველყოფილია, PH წყლის სუსპენზიაში - სუსტი ნეიტრალურია, რაც დამახასიათებელია გაყომრალებული კორდინან-ეწერიანი ნიადაგებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს.</p>

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ქურნა- ლის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N.Davitashvili V. Abaishvili	Kinematics of spherical hinged mechanisms with application of analysis method of spherical triangle.	N1(62)	Inteznational seientific jouznae probiems of mechanics	8
2	N.Davitashvili V. Abaishvili	Sunthesis of spherical four-bar hinged mechanisms on	N1(62)	Inteznational seientific jouznae probiems of	8

		extreme positions of output link and coefficient of efficiency		mechanics	
--	--	---	--	-----------	--

### ლობისტიკის დეპარტამენტი №507

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი დობორჯგინიძე  
დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორები:  
ბუთხუზი ნათია  
რეზო თედორაძე  
თეიმურაზ გორგოვი  
ლევან ბოცვაძე

#### II. პუბლიკაციები:

##### ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ბოცვაძე, ო. გელაშვილი, გ. ბოცვაძე, თ. გორგოვი, გ. არჩგაძე, დ. შარაბიძე	განაწილებისა და დისტრიბუციის მენეჯმენტი ლოგისტიკურ ცენტრებში	თბილისი, საგამომცემლო სახლი „უნივერსალი“	560
2	ლ.ბოცვაძე ო. გელაშვილი გ. ბოცვაძე თ. გორგოვი გ. არჩგაძე დ. შარაბიძე	სატრანსპორტო და სასაწყობო სისტემების ლოგისტიკის მენეჯმენტი	თბილისი, საგამომცემლო სახლი „უნივერსალი“	580

1.განსახილველი მონოგრაფია მიეკუთვნება საქართველოს რეგიონული სატრანსპორტო-

ლოგისტიკური სისტემის ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სტრუქტურას მოიცავს ფუნქციონალური და უზრუნველყოფის ქვესისტემის კომპლექსს, რომელიც ინტეგრირებულია სასაქონლო-მატერიალური ნაკადით. ფუნქციონალური ქვესისტემები პირობითად გამოსახულია სამი ურთიერთდაკავშირებული ბლოკის სახით: სატრანსპორტო კვანძები ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, უზრუნველყოფები სისტემების შესავლებსა და გამოსავლებს, ტვირთის ადგილობრივ და მაგისტრალურ გადაზიდვებს; ლოგისტიკური შუამავლების კომპანიები უზრუნველყოფები ტგირთ და საქონელ-მოძრაობის სისტემის ორგანიზატორებს რეგიონული გამანაწილებელი ცენტრებით, რომლებშიც ხორციელდება ტრანსპორტის სახეთა კოორდინაცია და ურთიერთქმედება გარემოსთან, საბითუმო და სადისტრიბუციო ცენტრებთან.

მონოგრაფია შედგება შემდეგი ძირითადი თავებისაგან. 1. საწარმოო პროცესების ლოგისტიკური მართვა, ლოგისტიკის მეთოდოლოგიური აპარატი და დაგეგმვა; 2. სამრეწველო კომპანიების ლოგისტიკური სისტემების მოდელირებისა და სინთეზის საფუძვლები; 3. დისტრიბუცია და ფიზიკური განაწილება. განაწილების ლოგისტიკის თეორიული საფუძვლები; 4. თანამედროვე ფირმების ლოგისტიკური სისტემები და მათი ოპტიმიზაციის თეორიული საფუძვლები; 5. დისტრიბუციის გლობალური სისტემების დაგეგმვა; 6. განაწილების ცენტრებზე დაფუძნებული საქონლის მიწოდების სისტემები; 7. საბითუმო განაწილების მართვის საფირმო სისტემები; 8. სამრეწველო საწარმოები, როგორც მიწოდებათა ჯაჭვების კომპონენტები; 9. საერთაშორისო ვაჭრობაში ტვირ-თების მიზიდვის პირობები; 10. ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულება და მიწოდების საბაზისო პირობები. მიწოდების საბაზისო პირობების Ineoterms სავაჭრო ტერმინების განმარტება. სატრანსპორტო მდგრენელი საქონლის მიზიდვის დროს. საერთაშორისო ლოგისტიკური სისტემების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები. საზღვაო პორტები, როგორც საერთაშორისო ლოგისტიკური ცენტრები. განაწილების საერთაშორისო არხები. საერთა-შორისო სავაჭრო-სატრანსპორტო დოკუმენტაცია; საერთაშორისო განაწილების არხები და მათი ვარიანტების შეფასება. 11. მარაგების მართვის ამოცანები. სასაქონლო მარაგების მართვა ლოგისტიკაში. მარაგების მართვა ცალკე სასწავლო დისციპლინადაა ჩამოყალიბებული ოპერაციათა კვლევაში. უკანასკნელი თავისი სიდიდით და კონომიკური მნიშვნელობით შეადგენს ლოგისტიკური დანახარჯების 40%. არსებობს ამ საკვლევი საკითხის მრავალჯერადი გამოკვლევის სხვადასხვა ვარიანტები საერთო, საზოგადოებრივ და არენდირებულ საწყობში. მოცემულია მაქსიმალური ფარდობითი მოგების კრიტერიუმებით მიწოდების მოცემულობის ოპიმალური სტრუქტურის მოდელი.

მონოგრაფიაში პროდუქციის დისტრიბუციისა და განაწილების პროცესები შესწავლილია და კვლევის შედეგები განზოგადოებულია სხვადასხვა ტიპის გამანაწილებელი ცენტრების მაგალითზე; ცენტრალური კომპანიების, თანამედროვე სამრეწველო ფირმებს, საერთაშორისო და რეგიონული სადისტრიბუციო ცენტრების, საბითუმო და სპეციალური გამანაწილებელი ცენტრების მაგალითზე.

ინტეგრირებული ლოგისტიკის და სატრანსპორტო-სასაწყობი ობიექტების გამოყენება ხელს შეუწყობს მიწოდებათა ჯაჭვების შექმნას, მართვას ISO-9000 და სარისხის მენეჯმენტის სხვა პრინციპების თანახმად საერთაშორისო-სატრანსპორტო დერეფნებში და

ინტერმოდალურ საზღვაო გადაზიდვებში პროდუქციის მასიური ნაკადების მართვის სისტემების ფორმირებისა და ფუნქცი-ონირების დროს.

მონოგრაფია განკუთვნილია უნივერსიტეტებში სატრანსპორტო ლოგისტიკის ბიზნესის ორგანიზაციებისა და მართვის, სავაჭრო დარგისა და სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის სტუდენტებისათვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ბიზნესმენებისა და მეწარმეებისათვის, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციის გამოშვებას მასიური მოცულობებით და მათ რეალიზაციას.

**2.** მონოგრაფია მიძღვნილია სატრანსპორტო გადაზიდვებისა და სასაწყობო სისტემის ლოგისტიკის მენეჯმენტისათვის. სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსების, წვრილგზაგნილებათა კონსოლიდაციის (კონტეინერიზაციის) სასაწყობო კომპლექსების ფუნქციონირებისა და ტექნიკური აღჭურვი-ლობის ოპტიმიზაციისადმი რთული სისტემების კომპლექსური იმიტაციური მოდელების დახმარებით.

მონოგრაფია შედგება სატრანსპორტო და გადაზიდვების მენეჯმენტისაგან მიწოდებათა ჯაჭვებში. ახსნილია სატრანსპორტო ლოგისტიკის არსი და მისი მირითადი ამოცანები, რომლებიც გულისხმობენ შემდეგი ამოცანების გადაჭრას; სატრანსპორტო საშუალებათა სახისა და ტიპის განსაზღვრას; სატრანსპორტო პროცესების ერთდროულ დაგეგმვას სასაწყობო და საწარმოო პროცესებთან ერთად; სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის შეთანხმება და ტვირთების მიზიდვის რაციონალური მარშრუტების განსაზღვრა. განიხილება: პაკეტური, კონტეინერული და კონტეილ-რული გადაზიდვები, გათვალისწინებულია სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო ტრანსპორტისა, შიგა სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტის მჭიდრო ურთიერთქმედება ინტერმოდალურ გადაზიდვებში და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების შემადგენლობაში. მიწოდებათა ჯაჭვების პირობებში მიზნობრივი ფუნქციის სახისა და მოდელის გამომავალი ცვლადების მიხედვით აიღება წრფივი ოპტიმიზაციის ამოცანები, სატრანსპორტო, სატრანსპორტო-სასაწყობო და საწარმო-სატრანსპორტო-სასაწყობო მოდელების, ოპტიმიზაციის კრიტერიუმს წარმოადგენს მიწოდებათა ჯაჭვების ინტეგრირებული მოდელები.

დამუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები პაკეტური და კონტეინერული გადაზიდვების მოდელური კომპლექსებისათვის სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე სრული ალგორითმული უზრუნველყოფით.

სასაწყობო სისტემების მენეჯმენტი მიწოდებათა ჯაჭვებში მოიცავს საკითხთა ფართო წრეს და შედგება. მიწოდებათა ჯაჭვების მენეჯმენტის ნაწილში განხილულია საერთო ლოგისტიკურ ნაწილში და მიწოდებათა ჯაჭვების მართვაში ტვირთების გადაზიდვების და დასაწყობების, პროექტირების და ორგანიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხები ინტეგრირებულ ლოგისტიკაში და მიწოდებათა ჯაჭვების პირობებში. მოცემულია საქმიანი ლოგისტიკის, როგორც ტვირთნაკადების ეფექტური ორგანიზაციის კომპლექსური სისტემის მახასიათებლები და თავისებურებანი. მიწოდებათა ჯაჭვები განიხილება, როგორც ლოგისტიკური ჯაჭვები, რომლებიც შედგებიან საწყობებისაგან და მათი შემაერთებელი სატრანსპორტო ჯაჭვებისაგან და უზრუნველყოფენ ურთიერთკავშირებს წარმოებას, განაწილებას და მოხმარების სფეროების ურთიერთკავშირში. ნაჩვენებია საწყობებისა და ტრანსპორტის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლი მიწოდებათა ჯაჭვებში, როგორც

კომპლექსური ობიექტების, რომლებიც აყალიბებენ ტვირთნაკადების პარამეტრებს. განხილულია ტარა-ცალობითი საწყობები და საკონტეინერო ტერმინალების მოწყობილობები, მუშაობის ტექნოლოგია, მოყვანილია ლოგისტიკური ცენტრების მუშაობის მაჩვენებლები, ნაჩვენებია ინტერმოდალური გადაზიდვების ლოგისტიკური ჯაჭვების პროექტირების ტექნოლოგია, პაკეტური და საკონტეინერო გადაზიდვების ტექნოლოგია მიწოდებათა ჯაჭვებში.

განხილულია მიწოდებათა ჯაჭვების მართვაში ტვირთების გადაზიდვისა და დასაწყობების, პროექტირებისა და ორგანიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მოცემულია საქმიანი ლოგისტიკის, როგორც ტვირთნაკადების ეფექტური ორგანიზაციის კომპლექსური სისტემის მახსინა-თებლები და თავისებურებანი. განხილულია ტარაცალობითი საწყობები და საკონტეინერო ტერმინალების მოწყობილობები, მუშაობის ტექნოლოგია. მოყვანილია ლოგისტიკური ცენტრების მუშაობის მაჩვენებლები. ნაჩვენებია ინტერმოდალური გადაზიდვების ლოგისტიკური ჯაჭვების პროექტირების ტექნოლოგია, პაკეტური და საკონტეინერო გადაზიდვების ტექნოლოგია მიწოდებათა ჯაჭვებში.

მონოგრაფია განკუთვნილია „უნივერსიტეტების ლოგისტიკის, მიწოდებათა ჯაჭვების, ბიზნესის მართვის, ვაჭრობის ორგანიზაციის, გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი გამოადგენილი ბიზნესმენებს და მეწარმეებს, რომლებიც აწარმოებენ დიდი რაოდენობით პროდუქციის დამზადებას, შენახვას და მათ რეალიზაციას სასაქონლო ბაზრებზე.

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ბუთხუზი ვ.ზეიკიძე გ.მაისურაძე	„კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის მეთოდოლოგიური საფუძვლები“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- შრომების კრებული	№2	ქუთაისი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3
2	ნ.ბუთხუზი ლ.ბოცვაძე X.მებრიშვილი	სატრანსპორტო ხიდი ევროპა აზია	№2	თბილისი, სტუდ-პოლონური სამეცნიერო-	6

		შრომების კრებული	ტექნიკური კონფერენცია		
3	6. პუთხუზი	ლოგისტიკური პროცესების აუთისორისინგი	სამეცნიერო შრომების კრებული	თბილის დია სასწავლო უნივერსიტეტი	3

1. სტატიაში განხილულია მოწინავე საერთაშორისო კომპანიების კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგია და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დამუშავებულია საქართველოს პირობებისათვის კორპორაციული მართვის გამჭვირვალობის შეფასების მეთოდოლოგია. აღწერილია ამ მეთოდოლოგიის ძირითადი შემადგენელი ელემენტები. მოცემულია სამამულო კომპანიებში ინფორმაციული გამჭვირვალობის ანალიტიკური ბაზის შეფასების შესაძლებლობები და რეიტინგული მაჩვენებლები, რომელებიც ინვესტორთა მხრიდან იმსახურებს დიდ დაინტერესებას. აქევე დასაბუთებულია ის სარგებელი რომელიც შესაძლებელია მოუტანოს აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებამ კორპორაციებს, ინვესტორებსა და მათ აქციონერებს.

2. სტატიაში განხილულია საქართველოში ლოგისტიკური ცენტრების გამართული მუშაობისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერმინალური და ქსელური სრულყოფა. დასაბუთებულია ახალი ინოგაციური ლოგისტიკური ცენტრების სტრატეგიულ ადგილებში განთავსება ბაზრის ანალიზის საფუძველზე, რომლის ძირითად მიმართულებას და პრინციპს წარმოადგენს ლოგისტიკური მეთოდების და მიდგომების მიხედვით ერთიანი ტექნოლოგიური კომპლექსის შექმნა სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩამოყალიბების გარკვეული სქემა.

3. სტატიაში განხილულია ლოგისტიკური პროცესების აუთისორისინგის მნიშვნელობა კომპანიებისათვის, რომელსაც ახლავს გარკვეული რისკებიც, რისი ანალიზიც აუცილებლად უნდა მოხდეს დაგეგმვით. კერძოდ: რამდენად საჭიროება კომპანიას აუთისორისინგი და რომელი პროცესების გატანა უნდა მოხდეს აუთისორისინგზე. შესაბამისი პარტნიორი კომპანიების მოძიება და შეფასება. პარტნიორი კომპანიასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის განსაზღვრა და ჩამოყალიბება. გადაბარებული პროცესების მონიტორინგსა და პერიოდული გვალურია.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	შურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	რ. თედორაძე, თ. გორგოვი, ზ.მაჩიტიძე, გ.სისვაძე	საქართველოში კომბინირებული სატვირთო გადაზიდვების დანერგვის	№ 2	თბილისი, სტუ	5

		მოტივაციები № 2 ქართულ - პოლონური სამეცნიერო - ტექნიკური კონფერენცია			
საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა დათავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. საქართველოს („ტრასეეპს“) მაგისტრალურ გზებზე ტგირთების დაახლოებით 60-70% გადაიზიდება ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ასე), რაც დაკავშირებულია ტგირთების მრავალჯერად გადატვირთვასთან და შესაბამისად, დროის და ფინანსების მნიშვნელოვან დანახარჯებთან. ამასთანავე, მაღალია გზებზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური პრობლემების რისკი. ეკოველივე ამის გამო სატვირთო გადაზიდვების გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების გზაა ე.წ. კომბინირებული გადაზიდვების „ასე-რკინიგზა-ასეს“ დანერგვა. ასეთი კომბინირებული გადაზიდვა აერთიანებს ორი კონკურენტული ტვირთის გადამზიდავი ტრანსპორტის - სატვირთო ავტომობილების და რკინიგზის სატრანსპორტო ლოგისტიკურ ჯაჭვებს, როთაც მიიღწევა გადაზიდვების ლოგისტიკური დანახარჯების შემცირება, გზების განტვირთვა სატვირთო ასე-გან და გარემოს ეკოლოგიური მდომარეობის გაჯანსაღება.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	თ. გორგოვი	Пути совершенствования транспортной политики საერთაშორისო სამეცნიერო ჟурнала „ინტელექტი“	№1 (54)	თბილისი, ინტელექტი	2
6	თ. გორგოვი თ. გორგოვი 6. კუპრაძე	Роль логистики в современном бизнесе саქართველоს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი	№2 (36)	თბილისი, სტუ	4
7	თ. გორგოვი	Вопросы создания логистических центров в	№2	თბილისი,	6

